



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გიგანტური მელამურა

გიგანტური მელამურა (*Nyctalus siculus*), ძუძუმწოვარი ცხოველი ღამურასებრთა ოჯახისა. გავრცელებულია ევროპაში, ჩრდ. კავკასიასა და დას. ამიერკავკასიაში; საქართველოში გვხვდება ბორჯომის ხეობაში, აფხაზეთში. ბინადრობს ტყეებში, კულტ. ლანდშაფტებში. ცხოვრობს ხის ფულუროებში. მელამურებს შორის ყველაზე დიდია (წინა-მხრის სიგრძეა 63-69 მმ). აქვს წვრილი, გრძელი და წამახვილებული ფრთები. ივნისში შობს 1-2 ნაშიერს. საკვების საძებნად გამოდის მზის ჩასვლის შემდეგ. იკვებება დიდი ხოჭოებით, ღამის პეპლებით. მავნე მწერების განადგურებით სარგებლობა მოაქვს. იშვიათი ცხოველია. შეტანილია „საქართველოს წითელ ნუსხაში“.

ს. სალაყაია
